საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კადარი

კადარის ტაძარი

კადარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მაცხოვრის ეკლესია აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველი აბაშის დასით, გაშლილ ველზე.

აგებულია არა უგვიანეს XIV ს. (ე. თაყაიშვილი).

გეგმით სწორკუთხა, აგურით ნაგებ ერთნავიან შენობას აღმით წახნაგოვანი შვერილი აფსიდი აქვს. გადახურვის კამარა ეყრდნობა ორ წყვილ პილასტრზე ამოყვანილ საბჯენ თაღებს. ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ჰქონდა (ახლა მონგრეულია). აფსიდში 3 ვიწრო სარკმელია დაყოლებული. შესასვლელი ორია – სამხრ-იდან და დას-იდან. ფასადები სადაა. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

პ. ზაქარაია